

”კამელინის“ გამოყენების მიზანშეწონილობა ულტრაფონოფორეზის და ელექტროფორეზის საშუალებით ოსტეოართრიტის და ოსტეოქონდროზის დროს

ნ.საკააშვილი, თ.ჩილინგარიშვილი, ნ.ჯაკობია, ქ.მალააკელიძე, გ.ჩიქოვანი, ი.მალაზონია, მ.ლომიძე, მ.ნაცვლიშვილი, ი.კვინიკაძე, ნ.კვინიკაძე

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი-საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი, თსსუ

პრეპარატი “კამელინი” შექმნილია საქართველოში მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში, ცნობილი ქირურგის, ბენედიქტე მალააკელიძის მიერ. ის წარმოადგენს განსაკუთრებული სახეობის თაფლისგან მიღებულ ბიოპრეპარატს.

პრეპარატმა გაიარა ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების ხანგრძლივი გზა, რის შედეგადაც დადგენილ იქნა მისი იმუნომოდულატორული, ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.

შრომის მიზანს წარმოადგენდა “კამელინის” გამოყენების სფეროს გაფართოება მისი ორგანიზმში შეყვანის ფიზიოთერაპიული საშუალებებით - ულტრაფონოფორეზის და ელექტროფორეზის გზით, ოსტეოართრიტის და ოსტეოქონდროზის სხვადასხვა ფორმების დროს.

ჩვენდამი რწმუნებულ დაწესებულებაში ჩატარებულ იქნა პრეპარატ “კამელინ-მ3” მალამოს ულტრაფონოფორეზის და “კამელინ-მ1” ხსნარის ელექტროფორეზის კლინიკური კვლევა, შედეგი რევმატიული დაავადებების დროს-ოსტეოართრიტები, მათ შორის გართულებული ფორმებით (რეაქტიული სინოვიტი, ბეიკერის ცისტა, ბურსიტი, ტენდოვაგინიტი) და ხერხემლის ოსტეოქონდროზები, მათ შორის ფესვობრივი სინდრომით.

დაკვირვება ჩატარდა 40 პაციენტზე.

პაციენტებს ძირითადად აღენიშნებოდათ ტკივილები სახსრებში, შეშუპება, მოძრაობის შეზღუდვა, დილის შებოჭილობა. ოსტეოქონდროზის დროს ტკივილი ხერხემლის გარკვეულ სეგმენტში, ზოგჯერ დადებითი ლასევის სიმპტომი.

ობიექტურად: რენტგენოლოგიურად სასახსრე ნაპრალეების შევიწროება, ოსტეოფიტები; ხერხემლის მალთაშუა სივრცეების შევიწროება, კაუჭისებრი წანაზარდები. პანორამული ექოსკოპიით – სასახსრე ხრტილის არათანაბარი შენება და ზომაში შემცირება, ოსტეოფიტები, სხვადასხვა რაოდენობით ანთებითი სითხე. სისხლში ედს-ის და CRP-ის მომატება.

მკურნალობის მეთოდების მიხედვით პაციენტები დაყოფილ იქნენ 2 ჯგუფად 20 პაციენტი თითოეულ ჯგუფში.

1 ჯგუფი - “კამელინ-მ3”-ის ულტრაფონოფორეზი.

2 ჯგუფი - “კამელინ-მ1”-ის ელექტროფორეზი.

კვლევაში ჩართულ პაციენტებს ორივე პროცედურა უტარდებოდათ როგორც ბაზისური მკურნალობა, დაზიანებულ სახსრებზე და ხერხემლის დაინტერესებულ სეგმენტზე, ფიზიოთერაპიაში მიღებული კლასიკური მეთოდებით.

მკურნალობის ხანგრძლივობამ შეადგინა ორივე ჯგუფში 15 დღე.

მკურნალობის შედეგად პაციენტების მდგომარეობა გაუმჯობესდა ორივე ჯგუფში, გამოინახა როგორც სუბიექტური ჩივილების, ისე ობიექტური მონაცემების დადებითი დინამიკა, რაც გამოვლინდა ედს-ის და CRP-ის მაჩვენებლის სარწმუნო დაქვეითებით ორივე ჯგუფში და ექოსკოპიური მონაცემების გაუმჯობესებით.

1 ჯგუფში მკურნალობის მაღალი თერაპიული ეფექტი მივიღეთ 7 (35%) შემთხვევაში, კარგი თერაპიული ეფექტი – 10(50%) შემთხვევაში, დამაკმაყოფილებელი -3 (15%) შემთხვევაში.

2 ჯგუფში მკურნალობის მაღალი თერაპიული ეფექტი მივიღეთ 6 (30%) შემთხვევაში, კარგი-12 (60%), დამაკმაყოფილებელი -2 (10%).

ლაიმე გართულების ან გვერდით ეფექტებს ადგილი არ ჰქონია.

ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო “კამელინის” სხვადასხვა ფორმების გამოყენების მიზანშეწონილობა ულტრაფონოფორეზის (მალამო) და ელექტროფორეზის (ხსნარი) საშუალებით ზემოთხსენებული პათოლოგიების დროს, რამაც საგრძნობლად გააფართოვა მისი გამოყენების არეალი, როგორც კლინიკური მედიცინის დარგებში-რევმატოლოგიასა და ნევროლოგიაში, ისე ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

ორივე ჯგუფში დადებითმა შედეგებმა მოგვცა საშუალება, რეკომენდაცია მიგვეცა “კამელინის” გამოყენებას სფეროს გაფართოებისათვის, როგორც კლინიკურ, ისე ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

მომხსენებელი: ექიმი რევმატოლოგი, პროფესორი თამარ ჩილინგარიშვილი